

2018 წლის 6 დეკემბრის გაზეთ „რეზონანსში“ გამოცხადებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის დამატებითი მოთხოვნები ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიხედვით:

**სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უნდა ერკვეოდეს:**

- სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემებსა და მიმართულებებში;
- ადგილობრივ და უცხოურ მიღწევებში მეცნიერებათა შესაბამის დარგებში;
- სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებში.

**სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (მთავარ მეცნიერ თანამშრომელს) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:**

- გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 3 მაინც – მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემებში;
- არანაკლებ 5 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

**კონკურსის ჩატარების დამატებითი პირობები (ინსტიტუტის დებულების შესაბამისად):**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა აგრეთვე შეუძლია დაიკავოს პირმა, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკმაყოფილებს ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის წაყენებულ მოთხოვნებს:

- უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 1 მაინც – მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემებში;
- არანაკლებ 3 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

**კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განყოფილებების მიხედვით:**

1. ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება (ინჟინერ-ჰიდროლოგი, ინჟინერ-ჰიდრო-ტექნიკოსი)
2. ზღვებისა და წყალსატევების განყოფილება (ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი)
3. მელიორაციის განყოფილება (ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი)
4. გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილება (ქიმიკოსი)
5. მელიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილება (ინჟინერ-ეკოლოგი)

**ინსტიტუტის დირექტორი**

**გივი გავარდაშვილი**

**ინსტიტუტის სამეცნიერო  
საბჭოს თავმჯდომარე**

**რობერტ დიაკონიძე**